



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 3-16

24 თებერვალი
“ --- ” ----- 2017 წ

ბ. თბილისი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 01/12/2015 სარეგისტრაციო კოდი: 020080160.35.101.016231) შეტანილი იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით, განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

2. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბულვარი - გამზირების, სანაპიროების, ქუჩების, საავტომობილო ან საფეხმავლო გზების გასწვრივ, ხეივნებითა და ქვეითად მოსიარულეთა სასეირნო ბილიკებით მოწყობილი და მწვანე ნარგავებით გაშენებული ტერიტორია;

ბ) სკვერი - 5 ჰექტრამდე ფართობის კეთილმოწყობილი და მწვანე ნარგავებით გაშენებული ტერიტორია;

გ) პარკი - არანაკლებ 5 ჰექტრის ფართობის კეთილმოწყობილი და მწვანე ნარგავებით გაშენებული ტერიტორია;

დ) პლაჟი - ხელოვნური ან ბუნებრივი წყალსატევების ნაპირების მიმდებარედ კეთილმოწყობილი ან/და მწვანე ნარგავებით გაშენებული ტერიტორია.”.


2. მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის” 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, თანამშრომელი უფლებამოსილია, კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება სამოქმედო ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მათ შორის ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე. თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ადგილზე შეუფარდებს სახდელს (ჯარიმას), მიუხედავად იმისა, სამართალდამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას.

2. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი ადგილზე ვერ/არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირება ვერ ხდება სააგენტოს ცხოველთა აღრიცხვის ერთიანი მონაცემთა ბაზის მეშვეობით, თანამშრომელი უფლებამოსილია, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან გამოითხოვოს და მიიღოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში დაცული პირის პერსონალური მონაცემები. ამ ფორმით პირის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, თანამშრომელი უფლებამოსილია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ალიბეგაშვილი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) წარდგენის მიზეზი/მისი ძირითადი არსი:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მომზადებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეაგირების უფლებამოსილების განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საქმიანობის შემდგომი ოპტიმიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (შემდგომში - ასკ) სააგენტოს უფლებამოსილების განსაზღვრელი მუხლების გარკვეული ნაწილები (103-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 148-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი) ითვალისწინებენ ამ მუხლების ძირითადი შემადგენლობისგან განსხვავებულ ქმედებებს და სანქციებს იმ შემთხვევებში, თუ ეს ქმედებები ჩადენილია თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე. კერძოდ:

- ასკ-ის 103-ე მუხლის (მაღლისა და კატის ყოლის წესის დარღვევა) მე-2 ნაწილი ითვალისწინებს განსხვავებულ სანქციას, თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში მაღლის საბმელის ან ალიკაპის გარეშე ყოლის შემთხვევაში;

- ასკ-ის 148-ე მუხლის (თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა) მე-4 ნაწილი ითვალისწინებს განსხვავებულ სანქციას, ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში;

- ასკ-ის 151-ე მუხლის (თვითმმართველი ერთეულის მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური განადგურება) მე-3 ნაწილი ითვალისწინებს განსხვავებულ სანქციას, თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში მწვანე ნარგავების შინაური ცხოველის მიერ დაზიანების ან/და განადგურების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ აყალიბებს ბულვარის, პარკის, სკვერის და პლაჟის განმარტებებს, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას ზემოხსენებული ნორმატიული აქტების მიზნებისათვის, რაც ქმნის კანონის ინტერპრეტაციის, არამართლზომიერი სამართალშეფარდების და საქმიანობის პროცესში სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (ასკ-ის მითითებული მუხლების შეფარდების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) შესაძლო გასაჩივრების წინაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-118 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ) და 2016 წლის 24 მაისის № 14-39 (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ) დადგენილებებით დამტკიცებულ „წესებში“ განმარტებულია ბულვარის, პარკის და სკვერის (პლაჟის გარდა) ტერმინები, აღნიშნული განმარტებები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან, რაც განპირობებულია ზემოხსენებული ნორმატიული აქტების რეგულირების სფეროების (მიზნობრიობის) ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსით. მაგალითად, სკვერი ერთ შემთხვევაში განმარტებულია როგორც „2 ჰექტრამდე ფართობის კეთილმოწყობილი გამწვანებული ტერიტორია, რომელიც წარმოადგენს დასახლებული პუნქტების არქიტექტურულ-სამხატვრო ელემენტს და განკუთვნილია მოსახლეობის მოკლევადიანი დასვენებისათვის. სკვერის დაგეგმარება მოიცავს საფეხმავლო გზებს (ბილიკებს), მოედნებს, გაზონებს, ყვავილნარებს, ხეებსა და ბუჩქებს“, ხოლო მეორე შემთხვევაში - „სკვერი - დასასვენებელი/გასართობი მიზნებისთვის განკუთვნილი საერთო სარგებლობის ბაღი“.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებელია წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება და ნორმატიულ აქტში შესაბამისი ტერმინების განმარტება;

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის № 28-117 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 13 სექტემბრის № 24-64 დადგენილით, სხვა ასპექტებთან ერთად, ცვლილება შევიდა სამართალდარღვევის იდენტიფიცირების პროცედურაში იმ შემთხვევაში, თუ პირი არ წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს. კერძოდ, მსგავს შემთხვევებში სააგენტოს მიენიჭა უფლება, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან გამოითხოვოს და მიიღოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პირის პერსონალური მონაცემები.

ზემოხსენებული უფლებამოსილების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით სააგენტოსა და სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს შორის წარმოებული მოლაპარაკების ფარგლებში გაირკვა, რომ სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზა ვერ უზრუნველყოფს ზემოხსენებული უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო ისეთი მონაცემების დამუშავებას (მიწოდებას სააგენტოსთვის), როგორც:

- ფიზიკური პირის ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი (ინფორმაცია აუცილებელია იმ შემთხვევებში, თუ სატელეფონო კომუნიკაცია პირთან ვერ ხერხდება), ვინაიდან „სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება აღნიშნულის შესახებ რელევანტური ინფორმაცია;

- უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის სახელმწიფო საზღვრის კვეთის მონაცემები (ინფორმაცია აუცილებელია იმ შემთხვევებში, თუ ამ კატეგორიის პირების მიერ დაირღვევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (მალლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის № 7-28 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება - „დროებით რეგისტრაციას ექვემდებარება პატრონის საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული არარეგისტრირებული ცხოველი, რომელიც შემოყვანილია ქალაქ თბილისში სამ თვეზე მეტი პერიოდით, ქალაქ თბილისიდან ცხოველის გაყვანის მომენტამდე), ამ ინფორმაციის მფლობელი არ არის სერვისების განვითარების სააგენტო;

- პირის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (ინფორმაცია აუცილებელია იმ შემთხვევებში, თუ მუნიციპალურ ტერიტორიაზე დაფიქსირდება უმეთვალყურეოდ მყოფი იდენტიფიცირებული

ცხოველი, რომლის სპეციალურ ადგილზე გადაყვანის შემდგომ სააგენტო დაადგენს მის მესაკუთრეს/მფლობელს და შეატყობინებს ფაქტის შესახებ), ვინაიდან სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება არ ხორციელდება მესამე პირებზე ინფორმაციის გადაცემის მიზნებისათვის;

- ინფორმაცია ასკ-ის 103-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლო არსებული მოქმედი სახდელის შესახებ (წლის განმავლობაში დარღვევის განმეორების (რეციდივის) ფაქტის დადგენის მიზნით), ვინაიდან ამ ინფორმაციის მფლობელი არ არის სერვისების განვითარების სააგენტო.

გარდა ამისა, სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე წვდომა შესაძლებელია მისი ვებ სერვისის საშუალებით, რომლის სარგებლობისათვის საჭიროა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან VPN კავშირის აწყობა და სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-სერვისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს სისტემაში ინტეგრაცია. თუმცა, ამ ეტაპზე სერვისების განვითარების სააგენტოს არ აქვს მზა პროდუქტი (Desktop ან Web აპლიკაცია), რომლის მეშვეობითაც სააგენტო პირდაპირ და სრული მოცულობით განახორციელებს სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე წვდომას, ხოლო აღნიშნული პრობლემის მოწესრიგების მიზნით აუცილებელია სააგენტომ დამატებით შეიძინოს და გამართოს მძლავრი სერვერი და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან გათვალისწინებულ დანახარჯებთან და დროსთან.

ამასთან, სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, თუ რომელიმე სხვა ორგანიზაცია (მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტრო) უზრუნველყოფს სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ სერვისის ტექნიკურად გამართვა-მოწოდებას (მაგ., გამოვიყენებთ შსს-ს IT-ინფრასტრუქტურას), შესაძლებელია ამ გზით სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე წვდომა, გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტთან წარმოებული ალტერნატიული მოლაპარაკებების ფარგლებში დადგინდა, რომ აღნიშნულ სახელმწიფო უწყებას გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, სააგენტოს პირდაპირ და სრული მოცულობით, დამატებითი ფინანსური დანახარჯების გარეშე მიაწოდოს სააგენტოს საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და წვდომა მონაცემთა ბაზასთან, რისთვისაც აუცილებელია ნორმატიულ აქტში მონაცემთა მოწოდების პირდაპირ მითითებული სუბიექტი „სსიპ სერვისების განვითარების სააგენტო“, შეიცვალოს ზოგადი ჩანაწერით - „შესაბამისი სახელმწიფო უწყება“;

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.